საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაშქაროვი (ბიბილური) ალექსანდრე სერგეის ძე

ლაშქაროვი (ბიბილური) ალექსანდრე სერგეის ძე (დაახლ. 1780, სანქტ-პეტერბურგი, – 1864, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (XIX ს. 50-იანი წლები). ცნობილი დიპლომატის, გენ. ს. ლაშქაროვის ვაჟი, გ. ს. და პ. ს. ლაშქაროვების ძმა. მსახურობდა იზიუმის და გროდნოს ჰუსართა პოლკებში, რუს. სხვადასხვა სამხ. ოლქში. მონაწილეობდა რუს. სამამულო ომში (1812).

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. დაკრძალულია ვოლკოვოს სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში.